

სასკოლო შფოთვა სხვადასხვა საგანმანათლებლო კონცეფციის მქონე
სკოლების მოზარდებში

თეონა დევდარიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და
ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე ჯაფარიძე, მოწვეული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეონა დევდარიანი

26.06.2019

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ მარინე ჯაფარიძეს გაწეული დახმარებისთვის, თემასთან დაკავშირებული მაღალკვალიფიციური რჩევების მოცემისთვის და მხარდაჭერისათვის.

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება სასკოლო შფოთვის დონის დადგენას სხვადასხვა საგანმანათლებლო კონცეფციის მქონე სკოლების მოზარდებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისში არსებულმა ოთხმა სკოლამ: „თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა“, იტალიური სკოლა „ცისკარი“, №126 საჯარო სკოლა და „საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლა“.

თითოეული სკოლიდან მონაწილეობა მიიღო 30-მა მოზარდმა, ჯამში 120-მა. მონაწილეების ასაკობრივი ზღვარი 12-15 წელი. კვლევაში გამოყენებულია ფილიფსის (Phillips, Beeman N., 1979) სასკოლო შფოთვის დონის საზომი კითხვარი, რომელიც შედგება 58 შეკითხვისაგან. ტესტი ზომავს სასკოლო შფოთვისთან დაკავშირებულ რვა ფაქტორს: 1) ზოგადი შფოთვა სკოლაში; 2) სოციალური სტრესის განცდა; 3) წარმატების მიღწევის მოთხოვნებში იმედგაცრუება, ფრუსტრაცია; 4) თვითგამოხატვის შიში; 5) დავალების შემოწმების სიტუაციის შიში; 6) ირგვლივმყოფების მოლოდინებთან შეუსატყვისობის შიში; 7) სტრესისადმი დაბალი ფიზიოლოგიური წინააღმდეგობა; 8) მასწავლებელთან დაკავშირებული შიშიები და პრობლემები.

განსხვავებული საგანმანათლებლო კონცეფციის მქონე სკოლების მოზარდებში გამოვლინდა სასკოლო შფოთვის ზოგიერთ ფაქტორს შორის სტატისტიკურად სანდო სხვაობა. კერძოდ ზოგადი შფოთვის ყველაზე მაღალი დონე დადასტურდა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის მოსწავლეებში, ყველაზე დაბალი კი ვალდორფის თავისუფალი სკოლის მოსწავლეებში. ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება მივიღეთ ტესტის ზოგიერთ სხვა ფაქტორშიც. განსხვავება დადასტურდა გენდერული თვალსაზრისითაც.

კვლევა საინტერესო იქნება განათლების და ფსიქოლოგიის სფეროში მოღვაწე ადამიანებისთვის, სკოლის პედაგოგებისთვის, განსაკუთრებით კვლევაში მონაწილე სკოლების პედაგოგებისთვის, ასევე აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული ნებისმიერი ადამიანისთვის.

საძიებო სიტყვები: შფოთვა; სასკოლო შფოთვა; ემოცია; მოსწავლე; მასწავლებელი; სკოლა.

Abstract

The master's thesis concerns the measurement of the level of school anxiety in adolescents at schools with different educational concepts. Four existing schools participated in the study: Tbilisi Free Waldorf School, Italian School "Tsiskari", Public School №126, and St. Ilia the Righteous School of the Georgian Patriarchy.

About 30 adolescents participated from each school in the study, 120 in total, with age limit between 12-15 years. The research utilized Phillips (Phillips, Beeman N., 1979) school anxiety level measurement questionnaire comprising 58 questions. The test measures the following eight factors related to school anxiety: 1) General anxiety in schools; 2) Experience of social stress; 3) Disappointment in need for success achievement, frustration; 4) Fear of self-expression; 5) Fear of knowledge testing situation; 6) Fear of not meeting the expectations of others; 7) Low physiological resistance to stress; 8) Fears and Problems in relationship with teachers.

Statistically reliable differences have been revealed in some of the school anxiety factors in the adolescents of schools with different educational concepts. In particular, the highest level of general anxiety has been confirmed in the pupils of St. Ilia the Righteous School of the Georgian Patriarchy, the lowest in Free Waldorf School pupils. Also, we have received statistically significant differences in some other factors of the test. The difference was also confirmed in terms of gender perspective.

The research will be interesting for educators and psychologists, for school teachers, especially teachers of the schools involved in the research, as well as for anybody interested in the given issues.

Keywords: Anxiety, School Anxiety; Emotion; Pupil; Teacher; School.